ოთხშაბათი 3 ივნისი 1915 წ.

# სამშობლო

წ. I

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნომერი ერთი შაური. დამატებით 7 კაპ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მ., დანარჩენი ...

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 94 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 94


„სამშობლო დედის ძუძუა, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა“

ამიერიდან ქ. ქუთაისში გამოდის ახალი საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ს ა მ შ ო ბ ლ ო“

### ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით


გაზეთი ღირს: ერთი წლით 8 მანეთი, ნახევარ წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი. ცალკე ნომერი ერთი შაური, დამატებიანი 7 კ. მისამართი: ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო“.
ვსთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები.
რედაქტორი ი. თ. ცინცაძე.



ელექტრო თეატრი „რ ა დ ი უ მ ი“

საზაფხულო ზინოგა.

ორშაბათიდან, 1 ივნისიდან, ნაჩვენები იქნება
„ნორდისკის სერიის“ საუცხოვო სურათი:

## მსხვერპლი ბედნიერებაა.

დრამა ორ ნაწილ. ააგე ხერტელის და კოპენ. სამეფო თეატრის საუკეთესო ძალების მონაწილეობით.

მისი ზიძაშვილი, კომიკური სურათი ორ ნაწილათ.

პროგრამის გარეშე:

„რადიუმის“ მონოპოლია! ქუთაისში წარმოდგენის ნება მხოლოდ „რადიუმს“ აქვს.
მ. ი. უ. მფარველობის ქვეშ მყოფი სკობელევის კომიტეტის გამოცემის სურათი.

## პერემიშლის ალყა და დაცემა.

ორ ნაწილათ. სურათები აღებულია პერემიშლის აღების დღეს.

ქუთაისის ქალაქის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ ქალაქის საავათმყოფოში, საღორიის აგარაკში, გაიხსნა სამშობიარო განყოფილება, სადაც ყოველ დროს, დღითა და ღამით შეიძლება მიღებულ იქნენ მშობიარენი. 14-1239.

უშაოგს ხრესილის მადნეული წყლის მძ. ქორქოლაძეების სამკურნალოშ

## ა ბ ა ნ ო.

აბანო მდებარეობს მაღლობ ბუნებით შემკულ მთის ჰაერზე და, როგორც ნამდვილ გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასხვაგვარ ავათმყოფობას; ქარებს (რევმატიზმს) სხვადასხვაგვარ მუწუკს, საუმაწვილდოებს, ნერვების სისუსტეს, ჩაუღიდ ციებას (მალარიას), კუჭის ტკივილს, ვენერიულ ავათმყოფობას, ეგზემას, სისივნეს და სხვ. წყალი მიიღება ცივი და თბილიც. ხრესილში იმყოფება მუდმივი ექიმი, სადაც მსურველს შეუძლია მიმართოს დარიგებისათვის, არის სუფთა საკუთარი ვანები, სუფთა ბინა, და სასმელ საჭმელი. ფასები ყოველივეზე ძლიერ ზომიერია. აბანო მდებარეობს სადგურ „სერნია ვოდში“ ხრესილში სადგურია მატარებლის გასაჩერებლათ. სადგურიდან 150 საჟენია აბანომდი. ქუთაისის სადგურზე მოითხოვეთ ბილეთები სადგურ ხრესილის „სტანცია სერნია ვოდის“. ქუთაისიდგან მატარებელი გადის დილის შვიდის ნახევარზე, დაბრუნდება სალამობით. თ.

გაბრიელ იოსების ძე

ექიმი გოკიელის

ელექტრონისა და სინათლის

კაბინეტი. შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. სად. 9—8 საათ. ალექსანდრეს ქუჩა, საკუთარი სახლი.

ექიმი რელიგიონი დაბრუნდა და განაახლა ავათმყოფების (ქირურგიულ და ქალურ ავათმყოფთა) მიღება თავის ძველ ბინაზე. ავათმყოფების მიღება—დილის 12 საათიდან 2 სათამდი.

ბებია მ. მ. კოხრეიძე უცრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს.

ალექსანდროვის ქუჩა, სახლი თევდორაძისა, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

## ქირავდება

ოთხი თვალი ოთახი მეორე სართულში, კარლოვის დასაშვებში, რეალურ სასწავლებლის მახლობლად თავისი მოწყობილობით; მიმართვა შეიძლება შაფათა რიჟინაშვილის სავაჭროში, ვორონცოვის ქუჩაზე. 4—3—237.

დოქტორი მედიცინისა, პრივატ-დოცენტი ვარლამ პავლეს ძე მოსეშვილი 8 მაისიდგან მიიღებს ავათმყოფებს დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდის და ნაშუადღევის 5 საათიდგან საღამოს 8 საათამდის.
გოშპიტლის ქუჩა, მოსეშვილის სახლი, ხაზინის პირდაპირ № 6. თ.

კბილის ექიმები

მენაღარიშვილი და ტრუფანოვა.

ბ ა თ ო მ ი დ ა ნ გადმოვიდენ ქალ. ქუთაისში. თფილისის ქუჩა, სახლი ბახტაძისა, ფირალოვის თუთუნის ფაბრიკის გვერდში. ავათმყოფებს ღებულობენ დილის 8—2 და საღამოს 5—6. არჩენენ ავათმყოფობას კბილებისა და ღრძილებისას. აკეთებენ ხელოვნურ კბილებს: კაუჩუკზე, ოქროზე და ალუმინზე. ღრძილების ავათმყოფობას არჩენენ რამდენიმე სეანსზე ახალი საშუალებით. თ.

ექიმი ი. ჩარექოვი ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალბეგოვის სახლში. (თ.)

ექიმი ი. ტ. მულინი გადმოვიდა ქუთაისში თფილისის ქუჩაზე ჩიკვაიძის სახლებში. ღებულობს ყელისა, ცხვირისა და ყურებით ავათმყოფებს. დღით 2—3, საღ. 7—8. თ.


ხუთშაბათს, 4 ამ ივნისს, 12 საათზე საფიჩხიის სასაფლაოს ეკლესიაში, გადახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი უეცრად გარდაცვალებულის

ომაინ იესეს ძის იოსელიანის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებს ნათესავთ, მეგობართა და ნაცნობთ განსვენებულის მეუღლე ანნა არქიპოს ასული იოსელიანისა.
წირვა დაიწყება დილის ათ საათზე. 2—2

# ომი

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან).

### კავკასიის ასპარეზი.

**პეტროგრადი.** 1 ივნისი. ოფიციალური კავკასიის ჯარის შტაბისაგან. 30 მაისს ჩვენმა ჯარმა უკუაქცია ოსმალონი, რომელნიც იშხანზე იერიშით მიდიოდენ. მოვიგერეთ აგრეთვე ოსმალოთა იერიშები ოლთიჩაისა და სევრიჩაის ხეობებში. 29 მაისს დავიკავეთ ქალ. ახლატი. დანარჩენ ადგილებზე ცვლილება არ მომხდარა.

### აღმოსავლეთის ასპარეზი.

**პეტროგრადი.** 1 ივნისი. ოფიციალური მთავარ სარდლის შტაბისაგან. მდ. ვინდავაზე 31 მაისს ჩვენ დავამარცხეთ გერმანელთა მრავალრიცხოვანი რაზმი, რომელსაც ლიაცკოვის რაიონში გადასვლა უნდოდა. დასახელებულ ადგილს ქვემო მდ. ვანდავაზე მტრის გადასული რაზმიც შევაჩერეთ. შავლის გარშემო ბრძოლა ცვალებადი იღბლით გრძელდება. მტერი შავლს მძიმე არტილერიას ესვრის; ნემანის და ნარევის ფრონტზე, აგრეთვე ვისლის მარცხენა ნაპირზე მტერს იერიშები აღარ განუახლებია. 31 მაისს პრასნიშის ჩრდილოეთით ჩვენმა ქვეითა ჯარმა დაიკავა თითქმის ყველა მოწინავე სანგრები, რომელნიც ამასწინათ მტერმა აილო. გალიციაში ისევ გაჩაღდა სასტიკი ბრძოლა სანის პისკოვიციდან მოსცისკამდე, მტერი დიდის ძალებით მოდიოდა მდ. ლიუბაჩევკის ფრონტზე. აქ მან შესძლო მდინარეზე გადმოსვლა. ლიუბაჩევკასა და ვიშნას შუა მტერმა აილო სოფ. ტუხლა. მტერს უშედეგოთ მოქონდა იერიშები დნესტრის ფრონტზე სოფ. ნიჟნიოვთან. დნესტრის მარცხენა ნაპირზე ჟოჟავა—ზალიუშჩიკის ფრონტზე იერიშის დროს ჩვენ სრულიად მოვსპეთ ტიროლელ მსროლელთა რამდენიმე როტა და მეოცე მონადირეთა ბათალიონი. ამავე დღეს და ამავე რაიონში ჩვენმა მოხალისეებმა ტყვეთ წამოიყვანეს 400 კაცი რვა აფიცრით.

### დასავლეთის ასპარეზი.

**პარიზი.** 31 მაისი. დღის ოფიც. ცნობა. არასის ჩრდილო რაიონში მთელი დღის განმავლობაში განუწყვეტელი სროლა იყო. ჩვენ დავიკავეთ რკინის გზის სადგური სუშეში. ლაბირინტის სამხრეთ ნაწილში მიუხედავათ მტრის სასტიკი იერიშისა, ჩვენ შევინარჩუნეთ აღებული ადგილები და გავამაგრეთ. დანარჩენ ადგილებში ცვლილება არ მომხდარა.

**პარიზი.** 31 მაისი. საღამოს ოფიციალური ცნობა. არასის ჩრდილოეთით არტილერიის სროლაა. ნაშუადღევს ჩვენ იერიშით მივედით სუშეს ჩრდილოეთით გორაკებზე, რომელნიც მტერს ძლიერ გამაგრებული ქონდა. ხელჩართული ბრძოლით ჩვენ გორაკები ავიღეთ და გავამაგრეთ, მიუხედავათ მტრის ინტენსიური ცეცხლისა. დილით ებიუტერნის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენ შევუტიეთ და ჩვენმა ქვეითა ჯარმა ერთი დაკვრით დაიკავა მტრის სანგართა სამი ხაზი. ტყვეთ წამოიყვანა 100 მეტი კაცი, რომელიც სხვადასხვა პოლკს ეკუთვნიან. ტყვეების სიტყვით გერმანელები უკანასკნელ ბრძოლის დროს დიდათ დაზარალდენ. ზოგიერთი სამხედრო ერთეული სრულიად მოისპო.

დღის განმავლობაში მტერი შეეცადა იერიშით მოსვლას და წართმეული ადგილების უკან დაბრუნებას, რომელიც კუნევიერის ფერმის სამხრეთით და ტრასილემონის აღმოსავლეთით მდებარეობენ. ჩვენ ყველა იერიში მოვიგერეთ და წინაც წავიწიეთ. სუასონს მტერმა 120 ყუმბარა ესროლა. 170 გერიანელ ქვეითა ჯარის პოლკის კაპიტან გუსმანმა გადასცა ჩვენი შტაბის აფიცერს, რომ გერმანელებმა ჩვენ წინაამდეგ საუკეთესო ძალები გამოგზავნეს. თვით გუსმანი თავისი ბათალიონით სანგრების პირველ რიგში იბრძოდა და მისი სიტყვით არასოდეს არ უნახავს ასე მამაცათ და თავდადებით მებრძოლი ჯარისკაცები.

### ბელგიის ჯარის მოქმედება.

**ჰავრი.** 31 მაისი. მტერი ხანგამოშვებით ესვრის ჩვენ პოზიციებს, განსაკუთრებით კი ნოლვანესის, რედერსტეკის, ბელკერგოფის ფერმებს; აგრეთვე რემსკაპელეს, პერვისეუდს და სტიუვენსკერკს. ესროდა აგრეთვე დიქსმიუდეს სამხრეთით სანგრებს.

### იტალიის ასპარეზი.

**რომი.** 31 მაისი. მთავარ ბინის ოფ. ცნობა. 30 მაისს მტრის ორმა ჰაეროპლანმა ბარში ყუმბარები ჩამოყარეს, ჩამოყარეს აგრეთვე პოლინიანო და მონოპოლში. პოლინიანოში მოკლულია ერთი ქალი და დაჭრილია ბავშვი. მონოპოლში ერთი ქალი მსუბუქათ დაიჭრა.

ტრენტინოს რაიონში იტალიელები წინ მიიწევენ. ჯარმა დაიკავა ტრენტინოს მაღლობები. აქ ახლა გამეფებულია იტალიის ძლიერი არტილერია. კარნიაში ალპის მსროლელები მამაცათ იგერიებენ მტრის იერიშებს.

**რომი.** 31 მაისი. ოფიციალური მთავარ ბინისაგან. ტრენტინოს საზღვრებზე უმნიშვნელო შეტაკებებია. ჩვენი არტილერია სპობს მტრის გამაგრებულ პოზიციებს. კადორში არაფერი მომხდარა. ალპის მსროლელებმა დაიკავეს ვოლეს უღელტეხილი და ტყვეთ წამოვიყვანეთ 25 კაცი. იზონცოს შუა წენში ჩვენი ჯარი გადავიდა მარცხენა ნაპირზე. მტერი უკან იხევს და ადგილზე დასტოვა რამდენიმე მოკლული. ტყვეთ წამოვიყვანეთ 200 კაცი. მტრის იერიშები მდინარის მარჯვენა ნაპირზე მოვიგერიეთ. იზონცოს ქვემო ნაწილში ჩვენმა ბატარეამ წინ წაიწია და დაანგრია სოგრადო. სერენზე ტომინოდან ზღვამდე ჩვენი მამაცი ავიატორები მტრის ადგილებს ზვერავდენ.

### საბერძნეთი.

**ათინა.** 31 მაისი. მთელ სამეფოში, გარდა მაკედონიის რამდენიმე ოლქისა და კუნ. კრიტისა, დაიწყო არჩევნები. ათინაში და პირეიაში არჩევნები მშვიდობიანათ მიმდინარეობენ. ვენიზელოს პარტია ყველგან იმარჯვებს. პეტ. დეპ. სააგენტოს კორესპონდენტმა დაიარა რამოდენიმე ოლქი.. დღემდის გავიდა ვენეზილოს მონაწილეთა 65%. პროვინციაშიდაც ვენეზილოს მომხრენი იმარჯვებენ. დარწმუნებით იუწყებიან, რომ როგორც არ უნდა ჩაიაროს არჩევნებმა, დღევანდელი მთავრობა მეფის სრულ მომჯობინებამდე დარჩება. მეფის მდგომარეობა დღეს ცვალებადია.

ჩერნოგორიელებმა დაიკავეს მდ. ბოიანის მარჯვენა ნაპირი და მისი მიდამოები. ახლა სკუტარისკენ მიიწევიან.

### სპარსეთი.

**ისპაანი.** 31 მაისი. გადაყენებულ გუბერნატორთან შესდგა ბახტიარებისა, ვაჭრებისა და სამღვდელოების კრება. კრებამ დაადგინა, თუ მთავრობა გუბერნატორათ არა ბახტიარს დანიშნავს, შეიარაღებულ წინააღდეგობას გაუწევს მთავრობას. ბახტიარები ცხენოსნებს აგროვებენ და გერმანელებთან გამართეს მოლაპარაკება.

### დარდანელი.

**სოლუნი.** 31 მაისი. ინგლისის ფლოტმა აივალში აღმოაჩინა ბენზინის საწყობი.

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

დანიის კორესპონდენტები ბუქარესტიდან იტყობინებიან, რომ ქალაქი სამხედრო ბანაკს წარმოადგენს. მცხოვრებთა უმრავლესობა ავსტრიის წინააღმდეგ მოითხოვს გამოსვლას. სამეფო სახლი და განსაკუთრებით დედოფალი სამთა შეთანხმების მხარეს არის.

„ნორდდოიჩე ალგემაინე ცეიტუნგ“-ი უარყოფს ხმებს, ვითომც გერმანიას მიეცეს წინადადება ინგლისისათვის ზავის ჩამოგდებაზე. მეორე მხრით გერმანიამ გაიგო ამერიკელ მოღვაწისაგან, რომ პარიზსა და ლონდონში არავითარი სურვილი არა აქვთ ზავი ჩამოაგდონ.

ოდესაში საბერძნეთის საგენერლო კონსულმა თავის მთავრობისაგან მიიღო ბრძანება კატეგორიულათ უარყოს გაზეთის ცნობები, ვითომც გერმანიის წყალქვეშა ნავები ღებულობდენ საჭირო სურსათსა და ბენზინს საბერძნეთის ერთ-ერთი კუნძულიდგან. ასეთი შემთხვევა არასოდეს არ ყოფილა, რადგანაც საბერძნეთი კვლავინდებურათ მტკიცე ნეიტრალიტეტს იცავსო.

**ხმები ზავის ჩამოგდების შესახებ.**

„სოციატედ პრესის“ კორესპონდენტი ვაშინგტონიდგან იტყობინება:

ჰოლანდიის მოქალაქის ფანხელდემესტერის მოსვლამ ნიუიორკში ახალი ხმები დაბადა ევროპაში ზავის ჩამოგდების შესახებ. ხელდემესტერმა ინახულა გერმანიის ელჩი იმის შემდეგ როცა იგი გერმანიაში ყოფნის დროს, ეთათბირა გარეშე საქმეთა მინისტრს და ბერლინის უმაღლეს სანოვნიკებს.

ბერნსტორფი ირწმუნება, რომ ხელდემესტერს არავითარი დამოკიდებულობა არა აქვს გერმანიის მთავრობასთან და არც რაიმე წერილი მოუტანია გერმანიის სანოვნიკებისაგანაო.

იგი ვითომც იყო ინგლისსა და გერმანიაში იმ მიზნით, რომ ადგილობრივ გაცნობოდა ოფიციალურსა და არა ოფიციალურ ცნობებს ზავის პირობებზე.

აქ ფიქრობენ, რომ გერმანიის წრეები მზათ არიან მხარი დაუჭირონ საერთო მოძრაობას ზავის ჩამოგდებისათვის, თუ უკეთუ შეერთებული შტატები გასწევენ შუამდგომლობასაო.

ამ უკანასკნელ დროს ამერიკაში მცხოვრებ გერმანელთა წრეებში ხმები გავრცელდა ზავის ჩამოგდების მოახლოებაზე, თუმცა სამთა შეთანხმების სახელმწიფოებისაგან ამის მსგავსი არაფერი ისმის. მოკავშირეთა აზრით ისე შეუძლებელია ზავზე ლაპარაკი, ვიდრე გერმანია საფრანგეთის, ბელგიისა და რუსეთის ტერიტორიიდან ჯარს არ გაიყვანს.

### ბალკანეთის სახელმწიფონი.

პარიზიდან ცნობაა — რუმინიასა და ბულგარეთს მოლაპარაკება აქვთ შეუერთდენ ოთხთა შეთანხმებას.

„ტან“-ის კორესპონდენტს დედეაგაჩში გაუგია სარწმუნო წყაროებიდან, რომ ბულგარეთი საიდუმლოთ თავს უყრის ჯარს ოსმალეთის საზღვარზე. ბულგარეთის მთელი არტილერია განახლებულია და გამზადებულია საბრძოლათ.

კონსტანტინეპოლიდან ათინაში ატყობინებენ, რომ იქ მცხოვრებმა ბულგარელებმა უკვე იწყეს სამშობლოსკენ გამგზავრებაო.

### ოსმალეთში.

სევასტოპოლიდან იტყობინებიან, რომ ოსმალეთის მთავრობის განკარგულებით კონსტანტინოპოლიდან გადაასახლეს მცირე აზიის სხვა და სხვა ადგილში 10000 შეძლებული და გავლენიანი სომხიო.

## „სამშობლო განსაცდელშია“

საფრანგეთის დიდი რევოლიუციის ლოზუნგი „სამშობლო განსაცდელშია“ — იმავე დროს რევოლიუციონურ დემოკრატიული ლოზუნგიც იყო. ბევრსა ჰგონია, რომ ეს ლოზუნგი დღესაც იმავე მნიშვნელობისაა და ამიტომაც ისე თანაუგრძნობენ ისინი საფრანგეთის დღევანდელ მთავრობას, რომელმაც ყველა სხვა მთავრობასთან შედარებით უკეთ და უფრო სრულათ შესძლო ხსენებული ლოზუნგის წამოყენებაც და მისი ცხოვრებაში გატარებაც.

არსად, არც ერთ დღევანდელ მეომარ სახელმწიფოში არაა მთავრობა და ხალხი ისე შეთანხმებულ—მორიგებული, როგორც ეს საფრანგეთშია.

მართალია ომის წინ იქ პარტიული და კლასიური ბრძოლა დიდათ გამწვავებული იყო, მაგრამ როგორც კი რეინის ნაპირებიდან ზარბაზანმა დაიქუხა და გერმანიის ლაშქარი პარიზისაკენ წამოვიდა, მთავრობამ „სამშობლო განსაცდელშია“-ო გამოაცხადა და პარტიებსა და ხალხს საერთო შეთანხმებული მოქმედებისათვის მოუწოდა.

როგორც გაზეთები გადმოგვცემდენ, მობილიზაციის გამოცხადებისთანავე იქ ერთი თვალის დახამხამებაში გაჰქრა ყველა უკმაყოფილება და ყოველგვარი უთანხმოება: პარტიული განსხვავება მოისპო, კლასთა ბრძოლა შესწყდა; გაფიცვები მუშებმა პირველი დღიდანვე შეაჩერეს.

მთავრობამ მაშინვე სრული ამნისტია გამოაცხადა: ყველა პოლიტიკურების, ბეჭდვითი სიტყვის კანონის დამრღვეველთა და ჯარიდან გაქცეულების, რომლებიც დანიშნულ ვადამდის უკანვე დაბრუნდებოდენ ჯარში.

ამასთანავე მთავრობამ გადასწყვიტა ჯარში მოსამსახურეთათვის ყოველგვარი პარტიული განსხვავება—უპირატესობა მოესპო, განსაკუთრებით მონარქისტ გენერლებისათვის. მათ ახლა დიდი საქმეები დააკისრეს. მეორე მხრით სოციალისტები, რომლებიც პარტიულ მოღვაწეობისათვის დათხოვილი იყვენ ჯარიდან, ახლა უკანვე მიიწვიეს და საპატიო ადგილები მისცეს.

თვითონ მთავრობა თავის შედგენილობით თითქმის გასოციალისტდა: სამხედრო მინისტრათ დანიშნულია ნასოციალისტარი, ყველა ქვეყნებში ცნობილი მილერანი, მთავარ მინისტრათაც აგრეთვე ნასოციალისტარი ვივიანია, რომელმაც ომის წინა დღეებში რუსეთში იმგზავრა და რომელიც მაშინ რუსეთის მუშათა დემონსტრაციების მოწმე გახდა. ომის გამოცხადებისათანავე ამ ნასოციალისტრებმა მოიგონეს დიდი რევოლიუციის ლოზუნგი:—„სამშობლო განსაცდელშია“ და მიუხედავათ დღევანდელი განსაკუთრებული პირობებისა ახლაც, ამ მსოფლიო ომის დროსაც, ამ ლოზუნგის გამოყენება საჭიროთ დაინახეს. ალბათ იფიქრეს: თუ ამ ლოზუნგმა დიდი რევოლიუციის დროს საფრანგეთს დიდი სამსახური გაუწია და მთელი ევროპის დესპოტიურ მთავრობათა კოალიციის რისხვა თავიდან ააშორა, რატომ არ შეიძლება, რომ დღეს მანვე გერმანიის „იმპერიალიზმის“ შემოსევისაგან გვიხსნასო?!

მართლაც დაადგენ ამ აზრს და სამინისტროში სოციალ-დემოკრატებიც მოიწვიეს, თითქო ამით აღიარეს: აი, ჩვენ რევოლიუციონურ-დემოკრატიულ ლოზუნგს ვაცხადებთ, თქვენც, სოციალ-დემოკრატები ხომ რევოლიუციონერები ხართ; მაშ მობრძანდით და ერთათ ვიმოქმედოთო.

საფრანგეთის სოციალ-დემოკრატებმაც ყურადღეს მათი გატაცება და ხალხის ერთ აზრზე დადგომა და გაჰყვნენ მათ. სამინისტროში შევიდენ სამბა და გედი. ამ ბოლო დროს მინისტრის თანაშემწეთ მიიწვიეს სოციალისტი თომა, რომელმაც მილერანთან ერთათ სამხედრო სამინისტროში უნდა იმოღვაწოს.

როგორც ხედავთ, საფრანგეთის სოციალისტები დიდი რიხით გამოდიან მხედართა და მეომართა როლში, როგორც სამშობლოს მხსნელები; მაგრამ ამავე დროს არც ფრანგი ამხანაგები და არც სხვა ქვეყნის სოციალისტები მათ არ დასცინიან და „სამხედრო სოციალისტებს“ არ უწოდებენ, როგორც ეს გერმანიაში ხდება.

ერთი შეხედვით ეს საოცარია: თუ საფრანგეთში არაა სამარცხვინო სოციალისტისათვის სამშობლოს დაცვა, რატომ უნდა იყოს იგი დასაძრახი გერმანიაში?!

ამას ზოგი ჩვენებური „დასელი“ იმით ხსნის და ასაბუთებს, რომ საფრანგეთი თავდაცვის ტაქტიკაზე დგას, ხოლო გერმანია თავდამსხმელიაო. შეიძლება ეს ასედაც იყოს, მაგრამ ერთი მხრით საფრანგეთის ს. დ. გამართლება, ხოლო მეორე მხრით გერმანიის „სამხედრო სოციალისტების“ „იმპერიალისტებათ“ მონათვლა მართლაც რომ სამარცხვინო მეთოდის ხმარებაა და მეტი არაფერი.

ამას ჩვენ სხვაგან და სხვა დროს დაუბრუნდებით, ხოლო ამ ჟამათ განვმარტავთ, რომ საფრანგეთის მთავრობის მიერ გამოცხადებული ლოზუნგი—„სამშობლო განსაცდელშია“—იგივე შინაურ მორიგებას მოასწავებს, როგორც ეს წამოყენებულია ევროპის ყველა მეომარ სახელმწიფოებში.

**დე—ლი.**

## ჩვენი პასუხი.

წავიკითხეთ „სახალხო ფურცელში“ ვრცელი წერილი ჩვენის გაზეთის „P. S.“ შესახებ და მწარეთ გაგვეცინა...

რომ ვიცოდეთ, ვისი დაწერილია ეს წერილი, ღირსეულ პასუხსაც გავცემდი, მაგრამ რადგანაც გვგონია რომ იგი ვინმე „გულ ნატკენისაგან“ უნდა იყოს დაწერილი, ამიტომ სერიოზულ პასუხის ღირსად არა ვსთვლით.

ერთი კი უნდა მოვახსენოთ ბატონს თუ ქალბატონ №-ს.

ეს წერილი ჩვენ გვაგონებს სახარების იგავს ფარისეველსა და მეზვერის შესახებ.

„ვითარმედ ორნი კაცნი აღვიდოდეს ლოცვად ტაძარსა მას, ერთი ფარისეველი და ერთი მეზვერე.

ფარისეველი იგი წარსდგა და ამას ილოცვიდა თვისაგან: ღმერთო გმადლობ შენ, რამეთუ არა ვარ, ვითარცა სხვანი კაცნი მტაცებელ, ცრუ და მემრუშე, გინა ვითარცა ესე მეზვერე.

ვიმარხავ ორ გზის შაბათსა შინა და ათეულსა შევსწირავ ყოვლისაგან მონაგებისა ჩემისა.

ხოლო მეზვერე იგი შორს სდგა, იცემდა მკერდსა და იტყოდა: ღმერთო მილხინე ცოდვილსა ამას.

გეტყვი თქვენ: გარდამოვიდა ესე განმართლებული სახიდ თვისად, ვიდრე ფარისეველი იგი, რამეთუ რომელმან აღიმაღლოს თავი თვისი იგი დამდაბლდეს და რომელმან დაიმდაბლოს თავი თვისი, იგი ამაღლდეს“.

უგზო-უკვლო და მოუწყობელი წარმოება არსად გაგონილა და ამიტომ თქვენ და თქვენ მომელინებელს, ბ-ნო „ენო“, მაინც და მაინც სატრაბახო არა გაქვთ. განა სასაცილო არ იქნება, რომ რომელიმე ინჟენერმა დაიკვეხოს: სახლი ავაშენე და კარ-ფანჯარებიც დავატანეო? თქვენგან გაყვანილი გზებიც „კარ-ფანჯარაა“ შავი ქვის წარმოებისათვის. რა არის აქ საბაქიო?

თქვენ ეს მიბრძანეთ: ვის ხელშია დღეს შავი ქვის წარმოება, ვის ეკუთვნის იგი: ქართველებსა, თუ უცხოელებს და ამაში ბრალი რამ მიგიძღვით, თუ არა?!.

გარდა ამისა, რისთვის მიიღეთ მარტო თქვენ თავზე „ხაჭაპურის მირთმევა“. განა ვისთვისმე დამალულია რომ ჩვენში არსებული ჯგუფები მხოლოდ „თავის კაცებს“ სწყალობენ, თუნდა უსაძაგლესი იყოს ეს კაცი“?

რაც შეეხება კერძოთ ჩვენი რედაქტორისადმი გადმოკრულ მეთრახეს,—ღმერთმა შეგინდოთ, რამეთუ არა იცით რასა სწერთ... ბოროტება [illegible] იქა ხედავთ [illegible], სადაც მხოლოდ ღირსებაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნარკვევი.

გაზეთ „სახ. ფურცელი“ ომის დღევანდელ მდგომარეობის შესახებ სწერს.

მოსალოდნელი იყო, რომ გერმანელები მთელი აღმოსავლეთ ასპარეზით მოქმედებას გააფართოვებდნენ. ეს გაფართოვება კიდევ იმის დამამტკიცებელია, რომ გერმანელები მტკიცედ იცავენ და ასრულებენ თავის პირვანდელ ფართო გეგმას, რომლის შესახებ ჩვენ უკვე გვქონდა ნათქვამი. გუშინდელმა ოფიციალურმა დეპეშამ ამის დამამტკიცებელი საბუთები საკმაოდ გადმოგვცა. აღმოსავლეთ ასპარეზის ჩრდილოეთ რაიონში, რომელსაც ახლა „რუსკი ინვალიდი“ ბალტიის რაიონს უწოდებს, დეპეშის სიტყვით მდ. ვინდავა, ვენტა და დუბისას ხაზით მკაცრი ბრძოლა სწარმოებს. გერმანელების მთავარი ყურადღება შავლის ჩრდილოეთით არის მიმართული, ე. ი. მიტავა-რიგის წინააღმდეგ. გარდა ამისა გერმანელები კოვნოსაც უახლოვდებიან. როგორც დეპეშამ გადმოგვცა იგინი საპეშიშკთან მოსულან (მდ. ნემანზეა, კოვნოდან 13—14 ვერსით). უახლოვდებიან იგივე აგრეთვე კოვნოს ვერჟბოლოვო-პილვილშკის გზით და აქ კაზლოვა-რუდკას მიაღწიეს (კოვნოდან 80 ვერსით იქნება). ცოტა სამხრეთით მარიამპოლის აღმოსავლეთით გერმანელებს აგრეთვე იერიშები მიაქვთ. მდ. ომულევის და როზგას შუა, ე. ი. ოსტროლენკის მიმართულებითაც მოქმედება დაუწყიათ. პრასნიშის ჩრდილოეთით გერმანელებს მკაცრი იერიშები დაუწყიათ. ამ რიგად თითქმის მთელი ნემან-ბობრ-ნარევის ხაზით გერმანელებმა მკაცრი შეტევა დაიწყეს.

ვინდავა-შავლის რაიონში ბრძოლას, გარდა იმისა, რომ საფარია ამ ოპერაციისა თვისი განზრახული დანიშნულებაცა აქვს.

საგულისხმიეროა გერმანელების მოქმედება მდ. ბზურაზე. აქ მდ. პისას შესართავიდან (მდ. ბზურას ერთვის) სოფ. სუხამდე (მდ. პისაზეა, მდ. ბზურას აღმოსავლეთით 7—8 ვერსით არის) ამ რიგად აქ ბრძოლის პირი ბზურარავკას მარჯვენა ნაპირზე გადმოვიდა და ისაზღვრება მდ. პისას შესართავი სოფ. სუხა-ვოლია შიდლოვსკას ხაზით. პირველ ორ პუნკტის შუა გერმანელებს მთელი ორი დივიზიით მოუტანიათ იერიში და ბრძოლა ჯერ კიდევ არ დამთავრებულა. მაგრამ ბრძოლის საერთო ვითარება გვიკარნახებს, რომ ამ ჟამად ამას მხოლოდ წმინდა დემონსტრატიული ხასიათი ექნება.

გალიციაში ბრძოლა თითქმის განელდა. მაგრამ ეს შესაძლებელია მხოლოდ ჯარების ახლად განაწილება-შეჯგუფებამ გამოიწვია. გუშინწინდელ დეპეშის სიტყვით ბუკოვინიდან რუსის ჯარი დნესტრზე გადმოსულა ნესვინსკა-ზალეშჩიკის ხაზით. ჩვენ გვახსოვს, რომ ამ რაიონში რუსის ჯარი შორს წინ იყო შეჭრილი და მაშასადამე გერმანელებს, როგორცა სჩანს, ჯარი საკმაოდ გაუძლიერებიათ და ეს გაძლიერება იმ ჯარის საშუალებით მოხდებოდა, რომელსაც გერმანე-

# აკაკის პოეზიის

## ესთეთიურ-აღმზრდელობითი მნიშვნელობა.*)

საჭიროა, რომ ბავშვს აკვანშივე ვაგონებდეთ სამშობლო ენის ტკბილს ხმებს და როდესაც ბავშვი ტიტინს დაიწყებს და გაიგებს ჩვენს ნალაპარაკევს, მაშინ საჭიროა უამბოთ მას ზღაპრები, ადვილ გასაგები პატარა მოთხრობები, სასაცილო არაკები და სხვა. ჩვენ ხშირათ გვქონია შემთხვევა დავრწმუნებულიყავით, თუ როგორი ინტერესით უგდებენ ყურს პატარა ბავშვები, როდესაც მათ ადვილს გასაგებს საინტერესო რამეს უამბობენ. თქვენ უნდა უყუროთ, თუ როგორ ცდილობენ მერე თვითონვე მოყვენ, რაც გაიგონეს და ამნაირათ ეჩვევიან სწორს ლაპარაკს, თანაც ულვიძდებათ სიმშვენიერის სიყვარული, უკავშირდებიან საზოგადოებას და მასთან ერთად მთელს მსოფლიოს, ამ დროს ჯერ კიდევ სანამ ბავშვი ანბანს ისწავლის, მეტათ საჭიროა ასწავლოთ დიდებული მგოსნების პატარა ლექსები. დაე ამ ლექსებს სავსებით ნუ გაიგებენ, მაგრამ, ხომ მიეჩვევიან მშვენიერს რითმას, ცეზურას, ლამაზს სიტყვებს, მხატვრულს გამოთქმას და ამ ნაირათ ბავშობიდანვე შეუმჩნევლათ განავითარებენ გემოვნებას და შეიყვარებენ პოეზიას.

ამ მხრივ აკაკის ნაწერები ფას-დაუდებელი რამ არის ბავშვების სწავლა-აღზრდაში, ამას გრძნობდა მგოსანიც, როდესაც მატარებელში პატარა თბილიკოს ეუბნებოდა: „აბა, ქართული ლექსი მითხარი რა იცი“. ჩვენ არას ვიტყვით მის ენის სილამაზეზე, ხმოვან მუსიკალურ ლექსთა წყობაზე, მე მხოლოთ აღვნიშნავ, რომ ბევრს მის ლექსს და სხვა ნაწერებს სარჩულათ დიდი ზნეობრივი და აღმზრდელობითი იდეა აქვს. აი, მაგალითად, ავიღოთ აკაკის „პატარა ტარიელი“.

მოთხრობას „პატარა ტარიელს“ დამრიგებელ აღმზრდელობითი ხასიათი აქვს. ამ მოთხრობის გმირს დიტო ცალქამანიძეს გაიტაცებს „ვეფხის ტყაოსნის“ კითხვა და ესეც თავის თავს ტარიელს შეადარებს და ნესტან-დარეჯნათ ერისთვის ქალიშვილს თინას დაისახავს. დიტო ოცნებას ეძლევა და სწავლაზე გულს იცრუებს. თავ-გასულობას მოუმატა და მეზობლებს თავი მოაბეზრა. „იმ უბანში, სადაც ცალქამანიძის ოჯახი იყო, მოსვენება აღარავის ჰქონდა მისგან; კატა არსად გაეცდებოდა: ვისიც უნდა ყოფილიყო, თვალს მოკრავდა თუ არა, გამოუდგებოდა, დაიჭერდა, ხან კოცნიდა, ხან კედელს ახლიდა, ვითომ ტარიელის ვეფხვ-ლომებიაო. პატარა ლეკვებსაც აწვალებდა, შორიდან ესროდა ხოლმე ქვებს; პატარა ბიჭებს, რომლებსაც კი დაიბრიყვებდა, უმიზეზოთ და უწყალოთ ანარცხებდა მიწაზე“.

ამასთანავე დაიწყო ტრაბახობა „იჭიმებოდა; იბერებოდა და სწავლაში კი თან და თან იჩუტებოდა. ამ ხანებში თინამაც აიცურა გული სწავლაზე, გამართა დიტოსთან მიწერ-მოწერა და ვერის სასაფლაოზე სალამოობით იპარებოდა. ერთს საღამოს, როდესაც დიტოს და თინას ხანგრძლივი ტიტინის შემდეგ სასაფლაოზე დაალამდათ, უცბათ სასაფლაოს ქვიდან თვალგამოკუსულმა ბაყაყმა დაიძახა „ტყვიაო“. ბავშვები შეკრთენ, აქეთ იქით მიიხედ მოიხედეს, ვერავინ დაინახეს. ბაყაყმა სამჯერ კიდევ დაიძახა: „ტყვია, ტყვია, ტყვიაო!“ ბავშვები შეკრთენ, აკანკალდენ. თინას გული შეუწუხდა, პატარა ტარიელი დიტო დაფრთხა, იკადრა ტარიელობაზე ხელის აღება, დაავიწყდა მისი ნესტან დარეჯანი, მიატოვა გულწასული თინა და მოკურცხლა შინისკენ. ამ დღიდან დიტოს რცხვენოდა თინას შეხვედრა და სირცხვილით თავს ვერსად ყოფდა. ამხანაგებმა გაიგეს და დასცინოდენ. დიტო საშინლათ სწუხდა თავის საქციელს, ის გრძნობდა თავის დანაშაულს, მაგრამ არავინ ყავდა პატარა დიტოს სწორ გზაზე დამყენებელი. იმ გიმნაზიაში, სადაც დიტო სწავლობდა ერთი ქართველი მასწავლებელი იყო. ამან შეატყო დიტოს ცვლილება; დაიბარა თავის ბინაზე, ყველაფერი გამოჰკითხა და შემდეგ მეგობრული დარიგება მისცა. მასწავლებელმა აუხსნა დიტოს სწავლის სარგებლობა, განუმარტა რომ საჭიროა სამშობლოსთვის ტარიელ ავთანდილობა, მაგრამ მათ ეხლა ფიზიკურ ძალას კი არ უნდა მიმართონ, როგორც ძველად იყო, არა, „დღეს სწავლა-მეცნიერებაზეა ყოლიფერი დამოკიდებული; მკლავის ძალა გრძნობა-გონების ძლიერებათ შეიცვალა, ფარ-ხმალის ადგილი ენამ დაიჭირა და შვილდ-ისარისა-საწერ კალამმა“, მასწავლებლის ამხანაგურმა დარიგებამ დიდი გავლენა იქონია დიტოზე. „სასიკვდილოთ თავგადადებული ბავშვი გამობრუნდა, გამოცოცხლდა, გაუსვა სწავლას ხელი და ოქროს მედლით გაათავა გიმნაზია, შემდეგ უმაღლესი სასწავლებელი და დაუბრუნდა თავის სიყვარულის დროს არჩეულს სატრფოს, რომელმაც აგრეთვე გამოჩინებით დაათავა სასწავლებელი. ეს მშვენიერი მოთხრობა ვინ იცის რამდენ ყმაწვილს დაანახებს ცხოვრების ცუდს მხარეებს, დააყენებს სწორს გზაზე და შეაჩვევს საქმის მუყაითობას.

ახლა თვალი გადავავლოთ მის შესანიშნავს არაკს ,,ალექსის'', სადაც მგოსანი გვასწავლის დაჩაგრულის თანაგრძნობას.

„ცხრა მთას გადაღმა იდგა პატარა, ლამაზი გორა, რომელიც მუდამ თავის სიმაღლიდამ რაღაც მოლხენით დამზერდა ჭალას“. ეს საუცხოვო მხარე ეკუთვნოდა ერთს მშვიდობიანს ცხვარს. ერთ ხანს ცხვარს არაფრის შიში არ ქონდა და ისიც უზრუნველად დანავარდობდა მინდორ ტყეებში. მაგრამ, როდესაც გაიგო, რომ მას დამონებას უპირობდენ სხვა მხეცები, ცხვარმა თავდარიგი დაიჭირა, მან გალავანი შემოაკრა თავის სამფლობელოს და მტერი კუდამოძუებული გაისტუმრა. იმ დროს ცხვარს ეყოლა კრავები, რომლებიც ,,სილამაზითა და სინაზით ერთმანეთს სჯობდენ“. როდესაც ცხვარი თავის არე მარეს გასცილდებოდა და შორს წავიდოდა საძოვრათ, შვილებს დაუბარებდა კარები მაგრათ ჩაეკეტათ. გაუმაძღარმა მგელმა მოინდომა კრავების შეჭმა. ის მიადგა გალავანს და მოტყუებით უნდოდა შიგნით შესვლა. კრავებმა გაუგეს ეშმაკობა და მგელი იძულებული გახდა უკან წასულიყო. მაგრამ მგელმა ისარგებლა კრავების გამოუცდელობით და გაიგო, რა ნიშნით უღებდენ კარებს თავის დედას კრავები. როდესაც მეორეთ მოადგა მგელი გალავნის კარებს „ბე ბეკეკე“ სამჯერ შესძახა. კრავები მოტყუვდენ, კარები გაუღეს ნადირს და მშიერმა მგელმა გადაყლაპა ,,ნიკორაები''. შემდეგ მუცელ გამობერილი მგელი წავიდა სახლში ძუნძუნ ძუნით. დაბრუნებულმა ცხვარმა დროზე მოასწრო მგელს, ,,ამოკრა ფაშვში მრისხანემ რქები, გაპო ჩქარა და გამოყარა ისევ ცოცხლები თავის შვილები''. ამ ნაირათ ცხვარმა მგელი მოიგერია, მაგრამ მელამ კი დაღუპა. ამან შეაჩრა ცხვრის ადგილ მამულში მურა, ჯერ სტუმრად მოიკატუნა თავი და მერე მურას დახმარებით გაბატონდა და მონათ გაიხადა ცხვარი. მას აქეთ ,,დადუმდა ცხვარი, ძირს თავდახრილი! იწყო ტირილი... დღესაც არ შრება იმას ცრემთ ღვარი!.. იმ არემარეს ჩაგრულის, მწუხარეს გულ მოსაკლავათ რწყავს ის ცრემლთ ღვარი... და რომ შეაშროს ის ცრემლი ერთ დროს, მისთანა გმირი ჯერ არსად არის''. აი როგორი ფაქიზი გრძნობით ეკიდება აკაკი მოტყუებულს კეთილს, ადამიანს და მასთან ერთად ესეც განიცდის მის ტანჯვას და ჩვენც გვასწავლის დაცემულის სიყვარულს. უდანაშაულო ცხვარი ჩვენში სიბრალულს იწვევს და ვინ იცის ახლა საბრალოს მოტყუებულს და დამონებულს რა საზიზღარ ბრალდებას ახვევდენ თავზე. შეიძლება ეხლაც უძახის რუხი მგელი მისკრავს: ,,ხმა გაკმინდეთ შენ დამნაშავე ხარ იმიტომ, რომ მე წყალი მწყურია''-ო.

მეტათ ღრმა აზრი და იდეა აქვს სარჩულათ აკაკის თითქმის ყოველ ლექსს, მოთხრობას, დრამას და სხვა. თქვენ მის ნაწერებში ჰპოვებთ საუცხოვო სურათებს, ადვილათ გებულობთ დედა-აზრს და ამავე დროს ფილოსოფიური აზრი პოეზიის სილამაზეს არა სჩრდილავს.

ეს არა ჩვეულებრივი მხარე აკაკის გენიალური შემოქმედებისა თქვენ თვალ-წინ გიშლით წიგნს, გამცნობთ ადამიანის გულის წმინდა საიდუმლოებას და გაყვარებთ კეთილს. მისმა მუზამ არ იცის არც სივრცე და არც დრო და არც მის პოეტურს ,,პროგრამას'' აქვს საზღვარი. მგოსანს შეუძლია მოთქმაც და თავდავიწყებული მხიარულებაც, ტკბილი ლოცვაც და მხიარული სიმღერაც, ამიტომაც არის, რომ ის ბულბულის სტვენასაც აძერხებს და ყორნის ჩხავილსაც, ,,ჭირში ზარს იტყვის სიცრემლოს და ლხინში მრავალ-ჟამიერს'', ,,მაქებარია ერთგულის და მგმობი ქვეყნის მტერისა''. მას უყვარ სამშობლო, მაგრამ სახატედ მთელ ქვეყანა დაუსახავს.

ამ რიგად, აკაკის პოეზიას თქვენ ამჩნევთ მრავალ ფეროვნებას, რომელშიაც ისახება მგოსნის საყვარელი სახე, სახე მისივე შექმნილი სატრფოსი. ეს სახე იპყრობს მთელ მის არსებას და მგოსანიც მის სამსახურში, მის შესახებ გულ ახდილათ ამცნობს მსოფლიოს სერიოზულ ზნეობრივს გულის წადილს, მაღალ გრძნობებს, მისწრაფებას, ყველა ამას ზეციურ ჰანგებში აძნობს და ისე უგალობს მომაკვდავით ციურს ხმებს. მის ნაწერებში თითოეულს ფეხის გადადგმაზე გესმის სიყვარულის და სიმართლის აღფრთოვა-

*) იხ. „სამშ“. № 93.

ლები გადმოიყვანდნენ სხვა რაიონებიდან, მაგ. ზემო დნესტრის მიდამოებიდან. როგორც ეტყობა ქვემო სანზე მდგომარეობა გერმანელებისათვის გართულებულა და ამიტომ ეხლა იგინი მდ. ლიუბაჩევკის მხრით იერიშებით მოდიან, რათა სანის მარცხენა ნაპირზე გადასულს რუსის ჯარს წინმსვლელობის საშუალება შეუწყვიტონ. გალიჩის სიმაგრეებს მძიმე ზარბაზნებით ყუმბარებს უშენენ. ერთობ გალიციაში გერმანელები, როგორც ეტყობა მთელ ბრძოლის პირს ჩრდილოეთისაკენ იბრუნებენ და ამიტომ ქვემო სანზე, თავის მარცხენა წვერით რუსის ჯარს აჩერებენ და სამხრეთით თავის მარჯვენა წვერით აწვებიან და ახევინებენ რუსის ჯარს ლვოვისაკენ.

ცენტრალური რაიონი, ოპატოვის მიდამოები ჯერ კიდევ სდუმს. ვიდრე ქვემო სანზე მდგომარეობა სგრძნობლად არ შეიცვლება, აქედან ახალს ამბებს არ უნდა მოველოდეთ.

ი. გე—ვა—ძე.

# ახალი ამბავი.

**ქუთაისი.**

ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თ-დი დავით ოტიას ძე ნიჟარაძე ორშაბათს, 1 ივნისს, ღამის მატარებლით ბათომს გაემგზავრა. იქიდან ბ. ნიჟარაძე პოზიციების დასათვალიერებლათ გაემგზავრება.

✦ იუსტიციის მინისტრმა შეიტანა წინადადება მინისტრთა საბჭოში 87 მუხლის ძალით შესახებ ღვინის ფალსიფიკაციისა. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ღვინის სხვა და სხვა გვარ საწამლავით შეზავებას რაც დიდი მაზარალებელია ადამიანის ჯანმრთელობისთვისაო.

✦ ორშაბათს, 1 ივნისს, ქუთ. საოლქო სასამართლოს სისხლის განყოფილებაში გაირჩა მარუაშვილის საქმე. მარუაშვილს ბრალდებოდა სასამართლოდან დოკუმენტების გატანა. ეს დოკუმენტები გადაუცია ვაჭრებ მანაგაძესა, კაპანაძესა და ტურაბელიძისათვის. მარუაშვილმა თავი დამნაშავეთ იცნო. ოლქის სასამართლომ მიუსაჯა მას 1 წლის და 3 თვის გამასწორებელი რაზმი. ვაჭრები გაამართლა.

✦ ორშაბათს, 1 ივნისს, დღის 12 ს. საოლქო სასამართლოს მახლობლათ ერთი ებრაელი ტანს იბანდა, უეცრათ მოიტაცა ებრაელი მდ. რიონმა. იგი საოლქო სასამართლოს შენობის მახლობლათ მყოფმა მცურავებმა დახჩრობას გადაარჩინეს.

✦ დღეს, 3 ივნისს, მოლოროსელთა დასი ბენეფისს გაუმართავს თავიანთ დამსახურებულ მსახიობს **მანკოს**.

✦ ქუთაისიდან ხონში მიმავალმა მეეტლეებმა სიმგზავროს ფასს მეტათ აუწიეს. დღემდის ხონში წასვლა ჯდებოდა 10 შაურამდის. დღეს კი 1 მ. და 10 შაურსსდის ახდევინებენ.

✦ ქუთაისსა და ხონს შუა ამ მოკლე ხანში მიმოსვლას დაიწყებს სამგზავრო ავტომობილი. მიმოსვლის ნებართვა გუბერნატორიდან უკვე აიღო და ავტომობილიც შეიძინა ბ. ხერტუროვმა.

✦ ქუთაისის სათავადაზნაურო მიხეილის ბანკმა დაავადმყოფებულ მწერალ ქალს ნინო ორბელიანისას ერთდროულ დახმარებათ 500 მანეთი მისცა.

✦ კვირას, 31 მაისს, ქუთაისიდან გელათს გაემგზავრა ახალგაზდათა ექსკურსია. მათ მიზნათ ჰქონიათ დათვალიერება გელათის მონასტრისა. ექსკურსანტებთა შორის შემდგენლობაში იყო ქართველი მაჰმადიანი **ჰაიდარბეგ-აბაშიძე**.

✦ ქუთაისის ქალაქის მოურავი ი. მ. ჩიქოვანი სთხოვს თბილისის ქალაქის ინჟინერს; აცნობოს დაწვრილებით თბილისის ინჟინერთა დადგენილება ქუთაისის. წყალ სადენის, კანალიზაციის განათებისა და ტრამვაის მოყვანის შესახებ.

✦ როგორც აბაშიდან გვატყობინებენ, 28 მაისს. ნაუსკოვის საზოგადოებას ადგილობრივმა მაზრის უფროსმა გადასცა 500 მანეთი სათესლე სიმინდის შესაძენათ.

✦ ქუთაისის საურთიერთო ნდობის ბანკის საზოგადოების გამგეობის გადაწყვეტილებით ბანკის ოპერაციები სიცხეების გამო დაიწყება დილის $8^1/_2$ საათიდან და გაგძელდება ნაშუადღევის 1 საათამდის.

✦ ზუგდიდში ახალგაზდათა სამხედრო ბეგარის მოსახდელათ გაწვევა 1 ივნისიდან დაიწყო.

✦ რაჭის მაზრიდან ახალგაზდათა გაწვევა სამხედრო ბეგარის მოსახდელათ 30 მაისს დასრულდა.

✦ ჭიათურიდან გვწერენ რომ ომში დაზარალებულ ჯარის კაცთა და მათი ოჯახების დამხმარე საზოგადოების ჭიათურის განყოფილების გამგეობამ.

მოქმედება უკვე დაიწყო. გამგეობას მიზნათ აქვს შეძლებისადაგვარათ დახმარებას ფართო ხასიათი მიცეს.

**ყვირილა.**

შაბიამნის გამყიდავს ბ. ძეძიაშვილს, დილით გარიგებია თავისივე სვინა საყვარელიძე შაბიამანს ფუთს 35 მანეთად, საღამოს როცა წასაღებათ მივიდა ვაჭარმა ძეძიაშვილმა ფასი 40 მანეთამდე აუწია, მაშინ სვინამ გამოართვა თავისი მიცემული ბე და გულმოსულმა მაღაზიის ნაწილი მილეწ-მოლეწა.

— ერთად-ერთი სასეირნო ადგილი ყვირილის ხიდი, სადაც მთელი დაბის მცხოვრები საღამოს გამოდის დასასვენებლად და წმინდა ჰაერის სასუნთქავად დიდი უსუფთაოდ არის; არა მგონია ძნელი იყოს ამის თავიდან აცილება.

— დაბაში შაქარი არ არის. ვისაც ფხვნილი შაქარი აქვს გირვანქას 24 კ. ყიდის ნუ თუ არავინ არის, რომ ჩვენი ვაჭრების თავგასულობას ლაგამი ამოსდოს.

— ქარ. მსახ. ამხანაგობის წარმოდგენამ, შაბათს, 30 მაისს, ბევრი ხალხი მოიზიდა თეატრის დარბაზში. წარმოდგენამ კარგად ჩაიარა და ჩვენი მსახიობები დიდის ოვაციით გამოაცილეს.

ერთი შენიშვნა ბატონ საქმის მეთაურს, საჭიროა რომ წარმოდგენა გამოცხადებულ დროზე იყოს დაწყებული.

ამასთან ერთად საჭიროა, რომ თვით საზოგადოებაც სადგურში ხეტიალის მაგიერ თეატრში გამოცხადებულ დროზე მიდიოდეს.

— ვასო ურუშაძეს, განზრახვა აქვს ამ ზაფხულში ორი თვის განმავლობაში მოაწყოს სეზონი, დასში მოწვეული იქნებიან მსახიობები და საუკეთესო სცენის მოყვარეები. **კვიმატი.**

# მცირე შენიშვნა.

ჩვენზე უბედური ერი, ხალხი, დედამიწის ზურგზე, მგონი, სხვა არ მოიპოვება.. ჩვენში ტყვილა ვიჩემებთ, თორემ არავითარი სერიოზული საქმე და გრძნობაც კი არ არის განვითარებული... ჩვენში ყველა სიტყვებით იწყება და სიტყვებითვე თავდება... ყველაფერი საპირადო გვაქვს, ჯიბრზე და ჯიბრისათვის სათქმელი და არა ნამდვილათ შეგნებული, შესისხლორცებული, მიზნათ და სურვილათ ქცეული...

თავმოყვარეობაც კი გვაკლია, ესეც კი ჩვენთვის, თითქოს, რაღაც საზერელოა, თორემ ნამდვილათ მაზე დაშორებულნი ვართ... სხვა შეურაცხგვყოფს, ჩვენ წმინდათა წმინდას გვილახავს, . . .

. . . . . . . . . .

. . . . . არა.. ერთი ან ორი, ისიც თავის ოფიციალურ მდგომარეობის გამო, თუ დასძრავს ხოლმე საყვედურის ხმას ასეთ შეურაცხყოფაზე, თორემ ფართო მასსა და მასსა კი არა— ინტილიგენციაც კი, თითქოს ისინი არ ილახებოდენ, მიყუჩებული არიან, არაფერ ტკივილსაც არა გრძნობენ, თავი მიუნებებიათ ცხოვრების მომდინარეობისათვის და... კმაყოფილდებიან მხოლოდ იმითი, რომ იგი ცოცხლობს, სული უდგია, და განსვენებული ხონელის უკვდავ ჯორივით მიათრევს თავის დღეებს...

„ვინაც რა უნდა სთქვასო, წისქვილმა კი ფქვასო„—, ფიქრობს ჩვენი ხალხი და, აკი, მიტომაც ასე კარგადაა ჩვენი საქმე...

ყველა გვამცირებს, ყველა თავში გვირტყამს, ადამიანური ღირსება დღეს თუ ხვალ უნდა ჩამოგვხადონ და ამ დროს არც ხმა ისმის და არც ძახილი...

პირიქით, ჩვენ თვითონ უწყობთ ხოლმე ხელს ჩვენსავე შეურაცხყოფას...

ყველა უცხოს, ყველა მოსულს ველაქუცებით, ერთხელ და ზედმეტათ ვამტკიცებთ ჩვენი ლაქიურ სულის თვისებას და არ ვფიქრობთ იმაზე, თუ რას იტყვიან ჩვენზე ეს უცხონი, როგორ დააფასებენ ჩვენს ეროვნულ თავმოყვარეობას... როდესაც ჩვენ თვითონ ვაბათილებთ ჩვენ თავს, აბა, მიბრძანეთ, რა უფლება გვაქვს სხვას მოვთხოვოთ ჩვენდამი პატივით მოპყრობა!?.. არავითარი...

დავაფასოთ ჩვენი თავი, სხვასთან გაუზომელ ხუმრობის ნებასაც ნუ მივსცემთ ჩვენ თავს, თორემ ვნანობთ და კიდევ დიდ ხანს ვინანებთ...

აბა, დაუფიქრდეთ კარგად, თუ რა შემაძრწუნებელ მოვლენას ჰქონდა ამ დღეებში ადგილი ჩვენს მელპომენის ტაძარში, ჩვენ ქართულ თეატრში... ... ... ვი მოხდა, ღმერთმა ... ... ნუ ინებოს... პოლიციის დახმარებით მოქმედებით შეურაცხჰყვეს ჩვენი თეატრის ერთი თვალსაჩინო მსახიობთაგანი... რა დანაშაული მიუძღოდა მას, ჩვენ აქ არ შევეხებით, ვიტყვით მხოლოდ, რომ კაცს რაც უნდა დანაშაული მიუძღოდეს, მოქმედებით და ისიც პოლიციის საშუალებით არ უნდა შეურაცხჰყო, არ უნდა შეურაცხჰყო უცხო კაცის „ხათრისთვის“, რომელიც შენთან სტუმრათ მოსულა...

ჩვენ თუ ასე „ხათრიანათ“ მოვექეცით ყველა მოსულს, ჩვენ თუ სხვისი პატივისცემისათვის ჩვენივე თავი შეურაცხვყავით— ეს დაგვირგვინებს იმ ჩვენს მოქმედებასა და „ხათრიანობას“ . . . .

ამ დღეებში ჩვენს თეატრში მომხდარი ინცინდენტი გულის ამრღვევი მოვლენაა და ეს არ ეპატიება მათ, ვისაც მინდობილი აქვს ჩვენი თეატრის მოვლა-პატრონობა... მათ პასუხი მოეთხოვება...

**ბლ ლოლაძე.**

* *
*

როცა ვდგავარ მაღალ სერზე და გავყურებ მთის მწვერვალებს,
როს ეთერი ლაჟვარდ ცისა გულში მარხავს ტყვექმნილ თვალებს,
როცა ლაღი მთის ნიავი აბიბინებს მწვანე მდელოს,
როცა ვხედავ მამა-პაპათ შეგინებულ სამლოცველოს,
როცა გავცქერ წინაპართა წმინდა ტაძარს დანგრეულს,
მშობლის აწმყო როცა შხამით გულს ამივსებს ფიქრმორეულს,
როცა თვალწინ მეხატება ერის ტანჯვა, კვნესა, ურვა,
დაჩაგრულთა მონის ჯაჭვი, ბედის წყევა, ბედის მდურვა,
როცა გული ერის მკვნესარ ზარის რეკვას შეიერთებს,
მაშინ შურის საძებნელათ მოუწოდებ ბრძოლის ღმერთებს!

* *
*

მაგრამ როცა მეხის ხმაზე ღამის ფარდას ელვა დახევს,
როცა სხივი სანატრელ მზის ჩაეხვევა გულში მთა-ხევს,
როცა დილის მოციქული გულს გაუპობს ღამის წყვდიადს
და ცხოვრების ახალ ცაზე როს ვიხილავ კვლავ განთიადს,
მაშინ მხოლოდ შვების ჰანგზე მეც დავიწყებ სიმთა ჟღერას
და ბუნების ლხენა-ზეიმს შევუერთებ ჩემ სიმღერას!
მინამდე კი ბრძოლის ჰანგით სევდას ვუმღერ, ვუმღერ იმად,
რომ გადვიქცე ჩემ წამებულ მშობლის სულის მკვნესარ სიმად;
მანამდე კი ჩემი ჩანგი აწმყოს კვნესის, სიმს ატირებს;
ჩემი ჩანგი მეხად ჰქავს, მოუწოდებს მებრძოლ გმირებს!

მოდინახის ციხე. **ხიმ. წეგელი.**

**ქუთაისის საურთიერთო ნდობის ბანკის წევრთა საგანგებო კრება. 31 მაისი.**

(შემდეგი, იხ. „სამშობლო“ № 93)

**დ. ქებაძე**: აქ ბევრი სიტყვა ითქვა, ამბობენ დათეშიძეს უარყოფითი მხარეები აქვსო, მაგრამ ეს მხარეები საიდუმლოთ აქვთ შენახული; არსებობს პრესა, სადაც შეეძლოთ ყველაფერი გამოეთქვათ, ბევრიც სწერეს, მაგრამ რ. დათეშიძეზე დასაბუთებული ცუდი მაინც ვერ აღნიშნეს. ჩვენ აქ მოვედით ასარჩევათ და არა სალაპარაკოთ; დადგით ყუთი და მაშინ დავინახავთ ყველაფერს.

ბეჟანეიშვილი ამბობს ვექსილებით ფულს არ ახდევინებსო. (მიუბრუნდება ვ. ბეჟანეიშვილს) მე და შენ ვერ გადაგვახდევინეს და რა უყოთ. ვინც ნამდვილი ვაჭარია, ის დაინტერესებულია ამ ბანკით და ქეც იხდის, მე და შენ-კი ვერ გავასწორეთ. როგორც პურადაშვილმა დამარქვა „ყოვლად ცნობილიო“ მე ქეც გადამახდევინა, ისე როგორც ბევრს. თქვენ ამბობთ წვრილ ვაჭარს არ ეხმარებაო— მეც წვრილი ვაჭარი ვარ, გამიხსნა კრედიტი, მაგრამ როცა ბაქარას შევუდექი...

**თავმჯდ. ი. ჩიქოვანი.** ეს კრება სერიოზულია; გთხოვთ სერიოზულათ ილაპარაკოთ, კრებას სასაცილოთ ნუ იგდებთ.

**დ. ქებაძე.** რაც შეეხება ინტელიგენციას, მას ბ. დათეშიძე მუდამ გაუმართავს ხელს, იმათ ვინც უნარს გამოიჩენს. მაგრამ ძალიან ცოტა ინტელიგენტია, რომელიც კომერციას მისდევს. ინტელიგენცია არის შავი ქვის საქმის სათავეში და მთელი მამული და წარმოება უცხოელების ხელში მოექცა. რაც შეეხება ზოგიერთ დირექტივებს—ყველა ბანკის დირექტორები გარდა ბანკის საქმეებისა კერძო საქმეებსაც აწარმოებენ. ვის რას უშავებს ამითი. არა გვყავს კაცები. მაჩვენეთ ერთი მომქმედი ინტელიგენტი გარდა იმათი, ვინც მთელი ღამეებს კლუბებში ათენებენ. რ. დათეშიძე კომერსანტია, მას აქვს კომერციასთან დამოკიდებულება. სიტყვას ამით ვათავებ: ყოველივე დადებითი მხარე რ. დათეშიძისა დიდათ სასარგებლოა ბანკისთვის.

**ტ. ჯაფარიძე.** ბ.ბ! დახასიათება ისეთი კანდიდატების, რომელთა ფიზიონომია დიდიხნიდან გამორკვეულია საზოგადოებისთვის, ზედმეტათ მიმაჩნია; მე მივაქცევ თქვენ ყურადღებას, იმ გარემოებას, რომელიც არსებითად შეეხება ბანკის შინაარს. აქ წამოაყენეს ერთი ბრალდება, რომელიც მე მაკვირვებს და ამიტომაც მე ამას განსაკუთრებით აღვნიშნავ. ბრალდება ისაა, ვითომც ბანკში 20000 მანეთის ვექსილები ეწყოს და ამით ბანკს დიდი ზარალი ჰქონდეს. ჩემის აზრით ბანკის დანიშნულება ისაა, რომ ფული სესხათ გასცეს და ნაცვლათ პორთფელში ვექსილები იქონიოს, მაგრამ ვექსილები სადი და საიმედო. თუ ის ვექსილები, რომელზედაც აქ გვითითებენ მკვდარ საბუთს წარმოადგენს და მათი განაღდების იმედი დაკარგულია—ეს ზარალია, მაგრამ ძლიერ მიკვირს, რატომ ეს გარემოება არაა აღნიშნული საბჭოს ოქმებში, გამგეობის ანგარიშში და სარევიზიო კომისიის მოხსენებაში. მე არ ვფიქრობ ეს ფაქტი იყოს, და თუ არის, რატომ არა სთქვეს საზოგადო კრებაზე, რომელიც ამას წინეთ იყო?

თუ ეს ფაქტი მართალია, დამნაშავე მარტო ბ. დათეშიძე კი არ იქნება, პასუხს გვაგებს ჯერ საბჭო, მერე მთელი გამგეობა, მეტადრე თავმჯდომარე, რომელიც გუშინ წინ მადლობით გავუშვით და ფულიც მივართვით; მარტო დათეშიძეზე ბრალდების მიტანა სამართლიანობა არ არის, მით უმეტეს რომ ამას სწორეთ მაშინ ამბობენ, როცა მის არჩევანზეა ლაპარაკი. ყველა პროტესტში გასული ვექსილი საზარალო არ არის, რადგან პროტესტში მიდის ხოლმე ისეთი კაცის ვექსილი, რომელიც გაგებისათანავე იხსნის თავის ნათავდებებ ვექსილს. მაშ, ეს საბჭო რაღას ბჭობს, თუ ის ვერ გაარჩია რა საიმედოა და რა არა? რომელი გარემოება საზარალოა და რომელი სასარგებლო? ყოველ შემთხვევაში მოვითხოვ ან დაადასტურონ ფაქტი, ან განმარტონ ეჭვი, რადგან წამოყენებული ბრალდება ჩვენ, ბანკის პატრონებს, დაეჭვებულს გვტოვებს და ბანკის სასარგებლო მიმდინარეობას კითხვითი ნიშანს უსვამს.

სხვა ბრალდება ყველა უმნიშვნელო და უსაფუძვლოა.

**ბ. ბიბინეიშვილი.** (საბუხგ. კურსების გამგე) მე არ მაინტერესებენ კანდიდატები, არამედ მე მაინტერესებენ ბანკის პოლიტიკასთან შეკავშირებული საკითხები. ჩემი თავი ვალდებულათ დავინახე ამ საკითხის შესახებ დასაბუთებული წერილი მომეთავსებია თბილისის გაზეთში. ეს არ მომსვლია რ. დათეშიძესადმი მძულვარებით. თუმცა ბატ. დათეშიძესთან არავითარი საორგანიზაციო საქმეებში მონაწილეობა არ მიმიღია, მაგრამ მოვალე ვარ აღვნიშნო ამ კაცის დადებითი მხარეებიც. მან ბანკის ოპერაციების გამოკეთებას ხელი შეუწყო, მაგრამ მომხრეებს არ ვეთანხმები, ვითომც ეს მარტო ბატ. დათეშიძის მეოხებით მომხდარიყოს.

ნებული სიმღერა. სულ ერთია, სადაც უნდა იყოს მგოსანი, რასაც უნდა უმღერდეს, თქვენ ყველგან გრძნობთ ესტეთიურ სიმშვენიერესთან ზნეობრივს სულის სიტკბოებასაც. აი, თუ გნებავსთ, გაჰყევით მგოსანს მთის მწვერვალისკენ, სადაც მერცხლის ბუდესავით პატარა ფაცხა მოჩანს. აქ ამ ფაცხაში ბოგტი გასწავლის სულგრძელობას, მეგობრის სამსახურს და თუ კაცმა ბოროტება ჩაიდინა, მას მგოსანი აგრძნობინებს სინდისის ქენჯნას, რომ სიკვდილამდე ეყოს საკვნესად. აი თქვენს წინ სვიმონ მაყაშვილი, გაიძვერა და გაუტანელი კაცი, მოძმის სისხლსა სვამს, სამშობლოს მტრათ გადაქცევია, მაგრამ მგოსანი მას თავს არ ანებებს და სასტიკად სჯის მას.

სულ ერთია, სადაც უნდა იყოს მგოსანი, ის ყველგან ჰპოვებს კარგს. ცხოვრება მისთვის კეთილში არის გახვეული. მგოსანი არასოდეს იმედს არ ჰკარგავს და როგორი დაცემულიც უნდა იყოს ადამიანი, გულში მაინც ისახავს მის აღდგენის იმედს. ამიტომაც არის, რომ აკაკი ხშირათ ტკბილათ ეალერსება ხალხს და საოცარის ღმობიერი ყურადღებით ეპყრობა, ვინც უნდა იყოს. მართალია მის ნაწერებში თქენ შეხვდებით მკაცრს ირონიას, მაგრამ ეს ირონია არასოდეს არ შეურაცყოფს ადამიანის პიროვნებას, ხელს არ ახლებს მის წმინდათა წმინდას.

ირონიას და საზოგადოთ მწარე ენას მაშინ მიმართავდა ხოლმე მგოსანი, როდესაც ხედავდა უკულმართობას და გრძნობდა მოძმის დამცირებას. მაგრამ თუ მის წინ ცოდვას მოინანიებდენ, მგოსანი ყოველთვის დიდს სულგრძელობას იჩენდა და დანაშაულს აპატიებდა. მისი ხან და ხან მკაცრი საქციელი, მისი მწარე ეპიგრამები, მიმართული სიმართლის აღსადგენათ, არაჲის პიროვნებას არ შელახავდენ, შურს გულში არავის უტოვებდენ და კიდეც ამიტომ არის, რომ აკაკის პოეზიას აზის დაღი მთელი კაცობრიობის, თანამოძმის სიყვარულსა.

დიახ, კაცობრიობის და მოძმის სიყვარული, დაჩაგრულის, დაცემულის ფეხზედ დაყენება, სამშობლოს უანგარო სამსახური და სხვა მაღალი გრძნობები წითელი ზოლივით გასდევს მთელ მის პოეზიას და მგოსანიც ველარ ეტევა ვიწრო ეროვნულს ფარგლებში და მსოფლიო მწერალთ გვერდში უდგება.

მგოსანს „ყველასათვის კარგი სურს, ბოროტების მტერია... და მით ბედნიერია“, „არ უშვებს გულში შურს“, რადგან კარგათ იცის, რომ, როდესაც გულში შური შევა, მაშინ სულიც დასნეულდება“, ეს კი პოეტს მომაკვდინებელ ცოდვათ მიაჩნია.

ამიტომაც არის, რომ აკაკის ასე უყვარს უბრალო, მართალი გულის ადამიანები, რომლებიც შურის ძიების შხამს გულში არ ატარებენ, არ მლაკუდობენ და პირში მთქმელნი—მტერზედაც პირდაპირ მიდიან.

თქვენ განცვიფრებაში მოდიხართ, როდესაც ხედავთ, თუ როგორ დიდს სულგრძელობას იჩენს აბდუშაილი, ეს უთვისტომო ადამიანი. ის ქურდულათ არ ეცემა თავის მტერ ბაშიაჩუკს და როდესაც პირისპირ-მზისა გაეცნობა აბდუშაილს, რომელსაც სიტყვას ართმევს იარაღი არ იხმაროს და წაიყვანს გამოქვაბულში, სადაც ბაშიაჩუკია. აქ აბდუშაილი არ სტეხს ვაჟკაცის სიტყვას და დაინახავს რა ბაშიაჩუკს, ერთხანს გაოცდება, გაშტერებული შეჰყურებს მას, შემდეგ ხელებს მაღლა ააპყრობს და ამბობს: „დაილოცა, ღმერთო, შენი უცნაური განგება! ვეძებდი, როგორც მტერი და შევხვდი, როგორც მოყვარე!“. დაუკვირდით ამ სცენას და თქვენც იგრძნობთ, რომ რაღაც დიდსულოვანი, მტკიცეთ სიტყვის შემასრულებელი არის ეს უთვისტომო აბდუშაილი. მის გულს შხამი ამოურეცხია და არ სტეხს სიტყვას. ახლა მოიგონეთ მისი სიყვარული. როდესაც შუაზე გაჩეხილს საყვარელს ქალს ნახავს და თავის დათ წოდებული პირი-მზისა ჰკონია, ის მაშინ საოცრად დაიყვირებს, რეტი ესხმის და, როდესაც გონს მოვა, უსულო გვამს ცხარე ცრემლებს აფრქვევს და მერე იქვე წყაროს ახლოს თავის დაუვიწყარ განძს საიდუმლოთ სამარეს აბარებს.

ამდენ ხანს განგებ შევჩერდით აბდუშაილზე. მე მსურდა დამენახვებია, თუ როგორ ახერხებდა აკაკი ამ გადაგვარებული ადამიანის წმინდათა წმინდაში ჩახედვა, ბრწყინვალე შუქით გაენათებია და ემცნო ჩვენთვის მისი სულის საუკეთესო თვისებები. ამ მხრივ აკაკიმ არ იცის არც დრო და, როგორც ადრე ვსთქვით, არც სივრცე. ის აღადგენს წარსულს დროს, გადასრიალდება უცხო მხარეს და იქ უცხო ტომებში მოსძებნის მაღალ გრძნობებს და აღადგენს უთვისტომოს. ერთი საუკუნედან სხვა საუკუნოებში გადავა და იქ სჭვრეტს ბუნების და ადამიანის სიმშვენიერეს. ბიძინა ჩოლოყაშვილი, ეს ბუნებისგან უნაკლულოდ შემკული ადამიანი, ხომ წასულ საუკუნოებში იყო მიმალული, მაგრამ აკაკიმ ის მოსძებნა, გააცოცხლა და მამულისთვის თავდადებულს გმირს თავის ძმური სალამი უძღვნა.

**გიორგი ნიორაძე.**

(შემდეგი იქნება)

არავითარ ძალას არ შეუძლია საქმის წარმატება, თუ პირობები ხელს არ უწყობენ, სიმართლე მოითხოვს ვაღიარო რომ დათეშიძე ამ ბანკში ენერგიით შევიდა. მან კომერციულ სასწავლებლის გახსნის საქმეშიაც დიდი მონაწილეობა მიიღო, აგრეთვე მომავალი დიდი ბანკის დაარსებაშიაც; თუმცა ამას არ ვიზიარებ, მაგრამ მაინც აღსანიშნავია. მისმა განწყობილებამ ის მდგომარეობა შექმნა, რომ არ მგონია ის იმავე პოზიციაზე იდგეს, რაზედაც უწინ. მან პირველ რიგზე კერძო ინტერესები დააყენა. ის ბანკს ხმარობს საუკეთესო საშუალება-იარაღათ თავის კერძო ინტერესების ასასრულებლათ (დიდი უმრავლესობა ყვირის: სიცრუეა..; კმარა... ძირს... თამჯდომარის ზარი...)

**თამჯდომარე ი. ჩიქოვანი.** ყველას ვსთხოვ რასაც იტყვიან, იმაზე საბუთი წარმოადგინონ, რადგანაც მარტო ლაპარაკს სისხლის სამართლის სუნი უდის.

**ბ. ბიბინეიშვილი.** ვერავინ უარყოფს, რომ დათეშიძეს ათას გვარ საქმეებთან აქვს დამოკიდებულობა. (კიდევ ყვირიან, თხოულობენ ყუთს, ძირს... კმარა... და სხვა) კომერციული ბანკის მეთაურთ, კანონის ძალით, არავითარი კრედიტები და კერძო საქმეები არ უნდა გაიჩინონ. ნურავინ იფიქრებს, რომ მე ამ ბანკის მხოლოთ ინტელიგენტთა ხელში გადასვლა მსურდეს. ეს ბანკი უნდა დაახლოვებული ყოს ვაჭრებთანაც; მაგრამ იგი საურთიერთოა. კლასთა შორის გამწვავებას ხელი არ უნდა შეუწყოს.

**დ. ჩიქვაიძე.** 25 წელიწადია, რაც ამ ბანკის საქმეებს თვალ-ყურს ვადევნებ. თქვენ ბევრი დრო გქონდათ მოგელაპარაკათ და ქეც მოილაპარაკეთ. იმართებოდა კერძო კრებები. ყველამ კარგათ ვიცით, ვინ არის დათეშიძე და ვინ არის კრინიცკი. სამწუხაროთ მიმაჩნია მათი შეჯახება. შევეხები ბ. ტ. ჯაფარიძის შეკითხვას. ვექსილების საქმე არ შეეხება ახალს გამგეობას. ძველმა გამგეობამ (ამ ბანკის შეერთების დროინდელმა) ბევრი ვექსილი უპროტესტოთ დასტოვა. ყველაზე აღმასრულებელი ფურცელია აღებული და ფულსაც ახდევინებენ.

(შემდეგი იქნება)

## ღია ბარათი.

ბ-ნ ი. გრ. კემულარიას, ქუთაისის საურთიერთო კრედიტის დირექტორს.

ბ-ნო იოსებ!

წასულ კვირას, 24 მაისს, ქუთაისის საურთიერთო კრედიტის საზოგადოების კერძო კრებაზე, რომლის თავმჯდომარეთ მე გახლდით, თქვენ ინებეთ მოგემართათ ჩემთვის საჯაროდ შეუწყნარებელი და ჩემი პიროვნების დამამცირებელი სიტყვებით: თქვენ მითხარით, რომ მე არ ვარ ღირსი იმ კრედიტისა, რომელიც ხსენებულმა ბანკმა გამიხსნა. ამის გამო მე თქვენ წერილი მოგწერეთ და გთხოვეთ გეცნობებიათ ჩემთვის, რა საბუთის ძალით მომმართეთ საჯაროთ ზემოხსენებული სიტყვებით და თან დავსძინე ბოდიში მოგეხადათ იმავე საზოგადოებაში, რადგან ამ თქვენ სიტყვებს არავითარი საფუძველი არ ქონდა, მაგრამ თქვენ ბოდიშის მოხდა არ ინებეთ და შუა კაცის პირით მაცნობეთ, რომ თქვენ საბოდიშო არაფერი გიქნიათ და არც გსურებიათ ჩემი შეურაცხყოფა. იგივე გაიმეორეთ ჩემთან პირადი ნახვის დროს და როცა მე დაგეკითხეთ: თუ ზემოხსენებული სიტყვები არ სთქვით, მაშ რა სთქვით ჩემ შესახებ მეთქი, თქვენ მიპასუხეთ, რომ, მე როგორც კრების თავმჯდომარე ერთი პირის სასარგებლოთ მიდგომით ვიქცეოდი იმ განზრახვით, რომ მომავალში ეს პირი რაღაც შეღავათებს მომცემდა, ხოლო რა შეღავათებს გულისხმობდით, როდის დამპირდებოდა და რისთვის, ეს არა სთქვით. ეს თქვენი უკანასკნელი სიტყვებიც შეურაცხყოფად მივიჩნიე და ჩვენ შორის მომხდარ უსიამოვნების გამოსარკვევათ მედიატორე გამოგიგზავნეთ, მაგრამ მედიატორულ სამართალზედაც უარი განაცხადეთ. რა სახელის ღირსია თქვენი ასეთი შეუწყნარებელი საქციელი, მკითხველმა განსაჯოს.

**თ. მთავრიშვილი.**

30 მაისი 1915 წელი.

## შეკითხვა.

ქართულ გალობის დაკარგვისა, მისი საფუძვლიანი მცოდნეთა გამოლევისა, ნოტებზე გადაღებისა და შენახვის შესახებ მრავალ გზის მქონია საუბარი გაზეთების საშუალებით პატივცემულ მკითხველთა წინაშე, მაგრამ ჩემს ნათქვამს არავინ გამოეხმაურა; მხოლოდ, ზედაპირულად და გასართობივით თუ ვინმეს რამე უთქვამს კანტი-კუნტათ და რასაკვირველია მეორე წერილი ამგვარ წერილებს არაოდეს არ გამოყოლია, რომ მით საქმე დაწყებულიყო.

ამ ერთი თვის წინათ „დეზმა“ „სამშობლო“-ში მოათავსა წერილი გალობის შესახებ და ასე დაასკვნა: გალობა უნდა „გავაევროპიელოთ“ თორემ „ხუნდაძის მგალობელთა გუნდზე და ჰრელ წირვაზე მოთქმით ფონს ვერ გავალთო“.

მისი აზრით განვითარებული სმენის მქონებელი, ჩვენს გალობას ვერ მოისმენს, რადგან იგი „ყვავ-ყორნის ჩხავილს და მომაკვდავ კაცის ხრიალს გავს“.

შემცთარა ბ. „დეზი“. ჩვენი გალობა-სიმღერები ყოველთვის სიამოვნებით მოუსმენია მუსიკალურათ გავითარებულ ყურს და კვლავაც სიამოვნებით მოისმენს.

ბ. „დეზის“ წერილის შინაარსი იმიტომ მოვიყვანე აქ, რომ ამ მისმა წერილმა გამოიწვია ორი-სამი პატივცემული პირის წერილი, თორემ გალობის შესახებ წერილი წერილზე ჯერ არ დაწერილა. ჩემს ხმას კაცმა არაოდეს ხმა არ მისცა. რატომ? არ ვიცი.

ბ. კირილე ძოძუაშვილის საფუძვლიანმა წერილმა „სამშობლო“-ში, სურვილი აღმიძრა, რომ ეს შეკითხვა დამეწერა. მე მრავალჯერ მითქვამს: გალობის მცოდნენი მალე ხელიდან გაგვეპარება და გალობის ნოტებზე დაწერას უშველეთ რამე მეთქი. მაგრამ პასუხი მხოლოდ საზოგადოების მდუმარება იყო. ბ. ძოძუაშვილი იმერელი გალობის მცოდნეთ დღეს მხოლოდ ორს ასახელებს: მღ. ივლიანე წერეთელს და მე. მართალიც არის. იმერეთში, დიდებულ მგალობელთა: კანდელაკებისა, შოთაძეებისა და სხვათა ნაშთი სიტყვაზე სათქმელით მაინც ჩვენ დავრჩით, მაგრამ სამწუხაროთ ივლ. წერეთელიც გარდაიცვალა. სხვას მე ვერ ვიცნობ ამბობს ბ. ძოძუაშვილი; იმერეთში მართლაც ასეა და გურიაში ღმერთმა ნუ გამოლიოს, მაგრამ იქაც ორი-სამი თუა: დეკ. დავით დუმბაძე, მღლ. ნაკაშიძე და კიდევ იქნება არის დუმბაძის გაზრდილი, რომელთაც მე დაახლოვებით ვერ ვიცნობ.

ბატონებო, რათ ითვლით თითებზე მგალობლებს? ნუ თუ ვერ მიხვდით, რომ მრავალ და საუკეთესო მგალობელთაგან, მხოლოდ ორი, სამი მოხუცებული და შევრჩით. რომ ითვლით ეგებ იმ ორი-სამის სიკვდილს უცდით და ამით გინდათ მერე თქვათ; მგალობლები აღარა გვყავს და რაღა გაეწყობა; რაც არა გვაქვს, რას ვიზამთო. ეს ხომ მამა პაპათა შემოქმედების ერთი საუკეთესო დარგის მოსპობა იქნება?! ვისაც წირვა და ლოცვა არ გინდათ, ბატონებო, ნუ გინდათ წირვა-ლოცვისთვის გალობა. მაგრამ ნუ თუ უნდა დაკარგოთ ჩვენი ერის გენიის, შემოქმედების ნაყოფი, ძვირფასი განძი? ბატონებო, დაიჯერეთ, რომ ჩვენი გალობა მდიდარია ხმების სხვა და სხვაობით. არც ერთ ერს არა აქვს ჩვენი ერის შექმნილი გალობის ოდენი ხმების სხვადასხვაობა: სხვადასხვა დასდებლების ხმები, სხვადასხვა სძლის პირების ხმები, იკოსები, კონდაკების, იამბიკოების, სტიხოგიების და სხვა თვითხმოვანების აუარებელი სხვადასხვაობა ხმისა. გამოგზავნეთ ვინმე ხმების სხვა და სხვაობის გარჩევის მცოდნენი და მე გაჩვენებთ, რომ სიმართლეს ვამბობ. მერე ამ სიმდიდრეს დაკარგვა უნდა? მე ჩვეული ვარ იმაზე, რომ ჩემს მოწოდებას არავინ გამოეხმაურება, მაგრამ ისე თავისთვის გულში მაინც იტყვის: არ უნდა დაიკარგოს, უნდა აღვადგინოთ, უნდა შევინახოთ; მართლაც მამა-პაპათა გენიოსობის ნაყოფია, ჩვენი ერის შემოქმედებაა და უნდა გვქონდეს.

ეს თუ ასეა, ბატონებო, ამას აქტიური ძალა სჭირია, მოქმედება და ფული, საშუალება.

ვსთხოვ საზოგადოებას, ვისაც ჩვენი ეროვნული ძველი განძის დაკარგვა არ უნდა (ახალიც არა გვაქვს მეტი), ვისაც გული შესტკივა და გადაგვარების გზას არ შესდგომია, გამოაცხადოს გაზეთის საშუალებით ამ საქმის განხორციელების სურვილი და საჭიროება; მასთან დაასახელოს საშუალება საქმის მოსაგვარებლათ.

ბ. ძოძუაშვილმა ერთი საშუალება გვაჩვენა და სხვებმაც კიდევ სხვაც მოძებნოს. თუ ამ ჩემს შეკითხვაზე საზოგადოებისგან უტყუარს და სწორ პასუხს მივიღებ, მე მაშინ გამოვაცხადებ სრულს ანგარიშს: რა მაქვს დაწერილი მე და რა არის კიდევ სამღვდელოებისა და ან კერძო პირთაგან სიფასოს გაღებით ნოტებზე დაწერილი გალობები, რითაც ცხადი იქნება თუ რა არის კიდევ დაუწერელი. მასთან შევუერთებ ჩემს აზრსაც სხვებისას, როგორც ამ საქმეზე დაკვირვებული და ასე თუ ისე გამოცდილი, თუ როგორ მოეწყოს მუშაობა და საქმის დაბოლოება.

ჩემგან ეს უკანასკნელი შეკითხვა იქნება პატივცემული საზოგადოების წინაშე და კიდევ მათგან დუმილის შემდეგ არავის შევაწუხებ.*)

**მღვდ. რ. ხუნდაძე.**

## დაბა-სოფლები.

**ს. ტყემლუანა** (შორაპნის მაზრა). ეს სოფელი დაშორებულია ჭიათურაზე 13—15 ვერსით. კულტურული მხრით სხვა სოფლებს არ არის ჩამორჩენილი. აქ არსებობს ორკლასიანი სამინისტრო სკოლა და წვრილი კრედიტის ბანკი; სამკითხველოს დაარსებას ახლახან შეუდგენ ადგილობრივი ინტელიგენტები და გაახორციელებდენ კიდეც ამ საქმეს, რომ მეთაური ბ. მასწ. იერემია ჩინჩალაძე არ გაეწვიათ ჯარში. ჩვენ მაინც ვიმედოვნებთ, რომ მის კეთილ განზრახვას გაუხორციელებელს არ დასტოვებენ მისი მოადგილენი.

ამ ერთი კვირის წინათ აქ ერთი შემაძრწუნებელი ამბავი მოხდა: ტყემლუანაში ჩასიძებული იყო ვანო მუზაშვილი (ვანო ოსათ წოდებული). ეს პირი მთელი საზოგადოებისაგან ცნობილი იყო, როგორც პატიოსანი და მართალი ადამიანი. 21 მაისს კერძო საქმისათვის მას ჭიათურაში მოუხდა წასვლა. ჭიათურიდან დაბრუნებისას საპერევისოს რაიონში საძალიხევში დახვედრიან ბოროტი პირები და დაუწყიათ თავში კეტით ცემა, ვიდრე არ მოუკლავთ, შემდეგ ხანჯლით ყელი გამოუჭრიათ და წყალში გადაუგდიათ დასახიჩრებული გვამი. ეს ამბავი მომხდარა საღამოს ჟამს თითქმის დღით. ამ საზიზღარ მოქმედებას თურმე უყურებდენ იქვე მახლობლათ მყოფი მეწისქვილეები და სხვა პირებიც, მაგრამ შიშით ბოროტმოქმედებისთვის ხმა ვერ გაუციათ. მიზეზი ამ საზიზღარი მკვლელობისა ჯერ გამოურკვეველია.

რადგანაც ბოროტმოქმედება ისეთ დროს მოხდა, რომ რამდენიმე პირი დამსწრეა — იმედია, ეს საქმე არ დაიფარება და დამნაშავენი პასუხისგებაში იქნებიან მიცემული. საზოგადოთ უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ბოლო დროს ჭიათურის რაიონში ხშირია ასეთი მოვლენები: კაცის კვლა, ქურდობა, გზაზე დახვედრა და სხვ. მაგალითად ამას წინათ სოფ. ნასრში მოპარეს მარჩენალი ხარები მაკარ ალექსის ძე იაკობიძეს, რომლის შვილიც დღეს მრძოლის ველზეა გასული და მტერს თავს აკლავს სამშობლოს დაცვისათვის. ნუთუ ამ ნაძირალა ვაჟბატონებს სინიდისი, თუ კიდევ შერჩენიათ, არ აწუხებთ და არ ახსოვთ, რომ ერთხელაც არის კოკა წყლის გზაზე გატყდება. იცოდეთ, რომ თქვენი მოქმედებაც გამოაშკარავდება, ბ. ნაძირალებო, და ხალხი, სასტიკ მსჯავრს დასდებს თქვენს საქციელს! კმარა. დაუფიქრდით რას სჩადიხართ.

**აქაური.**

## აჭარლების დახმარება.

რედაქციამ მიიღო 15 მანეთი აჭარლების სასარგებლოთ შეგროვილი ქ-ნ ელენე შენგალაიას მიერ ექ. ჯორჯიკიას ბინაზე.

---

*) ჩვენ გვაკვირვებს მამა რაჟდენის მუქარისებური კილო. „თუ საზოგადოებამ ხმა არ ამოიღო, მეც გავჩუმდებიო“. როგორც სჩანს იმერეთში ერთად ერთი კაცი დარჩენილა გალობის მცოდნე და ესეც გაჩუმებას აპირებს!

ჩვენის აზრით თვით მ. რაჟდენმა უნდა იკისროს **მეთაურობა** და ინიციატივა გალობის შეკრების საქმეში. საზოგადოება, როგორც ეგრეთი უმეთაუროდ ვერას მოახერხებს, მერე ამისთანა საქმეში, როგორიც არის გალობის ნოტებზე გადაღება.

მართალია ჩვენი საზოგადოება ხშირად გულგრილობას იჩენს ხოლმე, მაგრამ თუ კაცმა თავგამოდებით მოჰკიდა ამა თუ იმ სასარგებლო საქმეს ხელი, შეიწუხა თავი და სხვაც შეაწუხა, არ შეიძლება რომ ცოტათი მაინც არ დაეხმარნენ...

აქ რაღაც გაუგებრობაა!

**რედ.**

შაბათს, ჩვენს რედაქციაში შემოვიდნენ და გაიღეს თვისი წვლილი დაშეულთა სასარგებლოთ შემდეგმა პირებმა: დიმიტრი წუწუნავამ ათი მანეთი, გიორგი ჩიმაკაძემ 3 მ. და დავით ჩიქოვანმა 2 მ.

—

მთავრობის ქალთა გიმნაზიის მესამე კლასის მოწაფემ ქსენია დიმიტრის ასულმა გაბუნიამ თავის ამხანაგებში მოაგროვა სამი მანეთი აჭარლების სასარგებლოთ და გადმოსცა ჩვენს რედაქციას.

—

### წერილი რედაქციის მიმართ.

ბ-ნო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ თქვენი გაზეთის მახლობელ ნომერში ადგილი დაუთმოთ შემდეგ წერილს: მასწავლებელი ს. ტ. კაპანაძე მეავდა გამოწვეული სამედიატორო სასამართლოში (იხ. „შრომა“ № 26), რაზედაც მას, კაპანაძეს, ქონდა ვადა ერთი კვირის დღიდან გამოცხადებისა და თუ გამოცხადდებოდა — მედიატორები შემდეგ უნდა დამესახელებია და თუ არ გამოცხადდებოდა — უფლებას ვიტოვებდი მეწოდებია მისთვის შესაფერი სახელი; მას შემდეგ გადის ამდენი ხანი, რომ პასუხი არ გაუცია. მე ვრაცხ ბ ნ კაპანაძეს აზეფთა რიცხვში, რომელიც თავისი გესლიანი ენით შხამავს გარემოცულს საზოგადოებას და დანარჩენში კი მკითხველმა საზოგადოებამ დასდვას ბრალი ასეთს ადამიანს, რომელიც საზოგადოებაში ავრცელებს ცრუ ხმებს.

**მასწ. დავით ჯუღელი.**

—

უმორჩილესათ გთხოვთ თქვენს პატივ-ცემულ გაზ. „სამშობლო“-ს ერთ-ერთ უმახლობელეს ნომერში მოათავსოთ შემდეგი:

ამა წასრულ თვის აპრილის № 59-ში ჩვენ წავიკითხეთ საპასუხო წერილი ხრესილის სავათმყოფოს უფროსის ფერშლის ილია კოხრეიძის, რომელსაც ამავე წლის მარტის № 42-ში უდანაშაულოთ ცილს სწამებდა თავის პატარა წერილში მატყუარა კორესპონდენტი, როგორც მას, ისე მთელი სავათმყოფოს მოსამსახურე ფერშლებს და ამით შეცდომაში შეიყვანა როგორც რედაქცია, ისე მთელი მკითხველი საზოგადოება. ჩვენი [illegible] ამის შემდეგ [illegible] ილია კოხრეიძის საპასუხო წერილი თავიდამ ბოლომდე სრული სიმართლეა და რადგანაც პირადათ იმავე წერილში ჩვენც გვეხება და გვთხოვს სიმართლის აღსადგენათ დავუმოწმოთ ჩვენზედ დადებული ამაგი, ჩვენც დიდის სიამოვნებით ვასრულებთ მის თხოვნას, რომ ჩვენი ძმის ხარიტონის ავათმყოფობის გამო სამი ვერსის მანძილზე ორჯერ სრულიად უსასყიდლოთ ინახულა და შესაფერი დახმარება აღმოუჩინა, რისთვისაც დაუვიწყარი ვალი დაგვდვა.

მაქსიმე და პავლე ნიკოლოზისძე **კუბლაშვილები.**

—

ეკატერინოსლავის სამთო ინსტიტუტთან არსებულმა ქართველ სტუდენტთა სათვისტომომ საჭიროთ სცნა თავისი წვლილით ცოტაოდნავად მაინც აღმოეჩინა შემწეობა **დარბეულ აჭარლებისათვის.** გაახლებთ რა ჩვენს წვლილს, უმორჩილესად გთხოვთ მოათავსოთ თქვენს გაზეთში შემომწირველთა გვარები:

ი. მაღალაშვილი 2 მან., ი. ჭელიძე 1 მ., ა. ლორთქიფანიძე 1 მ., ს. ჩუბუნიძე 1 მ., მ. კალანდაძე 1 მ. 50 კ., ა. კოტიანცი 1 მ., ს. ერაძე 70 კ. სულ 8 მ. 20 კ.

**გამგეობა.**

—

ამასთანავე გაახლებთ თუთხმეტ მანეთს, გთხოვთ გადასცეთ ხუთი მანეთი დაზარალებულ აჭარელ ქართველ მაჰმადიანთა, ხუთი მანეთი დაშეულ მეგრელების და ხუთი მანეთიც ქუთათურ ჯარის კაცთა ბავშვებისათვის უფასო სასადილოსათვის სასარგებლოდ *).

მოწამეთის მონასტრის მღვდელ-მონაზონი **ილარიონ. ქალიშვილები მისი კალისტინე და ქსენია ივანეს ასულნი ბლიაძენი.**

*) დანიშნულებისამებრ გადაეცემა.

**რედ.**

რედ.-გამომც. **ი. თ. ციციძე.**


დაიბეჭდა და იყიდება ქ. **ოცხელის წიგნის მაღაზიაში** (ქუთაისში)

„НОВОЕ СЛОВО“

ახალი პირველდაწყებითი სახელმძღვანელო რუსული ენისა, მრავლად დასურათებული, ლექსიური განყოფილებით, რუსული ანბანით, კითხვისა და წერის სავარჯიშო მასალით, შედგენილი ს. ოცხელის მიერ.

თვ. **ფასი უდით 2 აბაზი.**

**თ. მთავრიშვილის და ამხ.**

**წიგნისა და საკანცელარიო მაღაზიამ დაბეჭდა და გასაყიდათ გამოვიდა**

**„Цѣлебные минеральные источники въ Кутаисской губер.“** ц. 20 к. კ. მაჭავარიანისა.

იბეჭდება და მალე გამოვა ქართული ენის სახელმძღვანელო **„ქაზმულ სიტყვიერებითი ქრისტომატია: ჩვენი ძველი მწერლობა და ხალხური პოეზია“**, შედგენილი ს. რ. გორგაძის მიერ. იქვე იყიდება ყოველნაირი ქართული და რუსული ენის სახელმძღვანელონი, საყმაწვილო წიგნები, ახალი რუსული და ქართული ლიტერატურული ნაწარმოები, გეოგრაფიული ატლასები, კარტები და ყოველნაირი საკანცელარიო ნივთები. თ. მ.

**უდიდესი სპეციალური წიგნის მაღაზია**

**პ. ი. ოცხელის და ამხ. ქუთაისში**

**ალექსანდრეს ქუჩა, თფილ. კომერც. ბანკის ქვეშ.**

**პ. ი. ოცხელისა და ამხ. წიგნის მაღაზიაში** მოიპოვება ყოველ გვარი **სახელმძღვანელო** და საკითხავი წიგნი: ბელეტრისტული, პედაგოგიური, იურიდიული, საბავშო და მრავალი სხვა. აგრეთვე გვერდით გამართულია **ცნობილი საკანცელარიო მაღაზია დ. ი. ოცხელისა,** სადაც მოიპოვება ყველანაირი სამოსწავლო საკანცელარიო ნივთები.

**— კატალოგები უფასოთ —** თ.

**ნუნისის სამკურნალო ბუნებით თბილი**

**აბანო.** აბანო ნუნისი, ანუ მუნისი, რომელიც შეუმჩნევია ხალხს, უხსოვარი დროიდან, როგორც მუნისაგან განმკურნავი უებრო საშუალება, ჰკურნავს გასაკვირველად ყოველნაირ კანის ავადმყოფობას და მასთან დიდ საშუალებას აძლევს ავადმყოფს სხვადასხვა სენის წინააღმდეგ. მდებარეობს შორაპნის მაზრაში, მოლითის სადგურიდან 6 ვერსის მანძილზე, მაღლობზე ნაძვნარში. სეზონი იწყება 15 მაისიდან და გრძელდება 1-ს ოქტომბრამდი. თ. 215


[illegible] სამხედრო ცენზორისაგან. სწრაფ მბეჭდავი სტამბა ა. კოხრეიძისა — ქუთაისში.